



სსიპ საზღვაო ტრანსპორტის
სააგენტო

LEPL MARITIME TRANSPORT
AGENCY



KA020110576906120

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო საქართველო, ქ.ბათუმი, 6000, ბაქოს ქუჩა N50. ტელ.:+995 422 27 49 25/26
50 Baku Str., 6000, Batumi, Georgia. Tel.:+995 422 27 49 25/26

№ 19/CIRC/FSI

27 / მაისი / 2020 წ.

შიდა ნაოსნობაში ჩართული გემების ტექნიკური
ზედამხედველობის განმახორციელებელ სააგენტოს
მიერ აღიარებულ ორგანიზაციებს

შინაარსი: აღიარებული ორგანიზაციების ვალდებულებები, შიდა ნაოსნობაში ჩართული გემებისთვის კლასის
მინიჭების, გადაცემის, შეცვლის, შეჩერების ან გაუქმებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება/გამოქვეყნება

მითითება: საქართველოს საზღვაო კოდექსი, მუხლი 44¹³

1. მიზანი:

1.1 აღნიშნული ცირკულარის მთავარი მიზანია აღიარებულ ორგანიზაციებს შორის დაფიქსირებული კლასის
გადაცემისას დაფიქსირებული შეუსაბამობების აღმოფხვრა.

2. ინფორმაციის მიწოდება და გამოქვეყნება:

2.1 აღიარებული ორგანიზაცია ვალდებულია სააგენტოს მიაწოდოს ყველა არსებითი ინფორმაცია საქართველოს
გემებისთვის კლასის მინიჭების, გადაცემის, შეცვლის, შეჩერების ან გაუქმების შესახებ.

2.2 აღიარებული ორგანიზაცია საკუთარ ოფიციალურ ვებ-გვერდზე აქვეყნებს საქართველოს გემებისთვის კლასის
მინიჭების, გადაცემის, შეცვლის, შეჩერების ან გაუქმების შესახებ ინფორმაციას, გეგმური შემონიშნების,
რეკომენდაციების, გემისთვის გაცემული კლასის პირობებისა და საქართველოს სახელმწიფო დროშით მცურავი,
მისი კლასისთვის მიკუთვნილებული გემების ექსპლუატაციის პირობებისა და ექსპლუატაციის შეზღუდვების შესახებ
ინფორმაციის ჩათვლით.

3. საქართველოს გემის მიერ კლასის შეცვლის შემთხვევაში:

3.1 გადამცემი აღიარებული ორგანიზაცია ვალდებულია მიმღებ აღიარებულ ორგანიზაციას მიაწოდოს
ინფორმაციას ყველა სამომავლო გეგმური შემონიშნების, რეკომენდაციისა და გემისთვის გაცემული კლასის
პირობები, ექსპლუატაციის პირობებისა და ექსპლუატაციის შეზღუდვების შესახებ.

3.2 გადაცემის დროს გადამცემი აღიარებული ორგანიზაციას ვალდებულია მიმღებ აღიარებული ორგანიზაციას
მიაწოდოს/გადასცეს გემის სრულყოფილი საარქივო ჩანაწერები.

3.3 მიმღები აღიარებული ორგანიზაციას უფლება აქვს, გასცეს გემის მონიშნები, მხოლოდ ყველა გეგმიური
შემონიშნების და კონტროლის დამაკმაყოფილებელ დონეზე ჩატარების შემდეგ და გადამცემი აღიარებული
ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული პირობების თანახმად, ყველა სამომავლო რეკომენდაციისა და გემისთვის ხინა
პერიოდში გაცემული კლასის პირობების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ.


3.4 გემებისთვის სათანადო მონიშნების გაცემამდე მიმღები აღიარებული ორგანიზაცია ვალდებულია გადამცემი
ორგანიზაციისგან მიიღოს ინფორმაცია მონიშნების გაცემის თარიღის შესახებ, განთავსების ადგილისა და
ლოხისძიებების დაზუსტების მიზნით, რომლებიც საჭიროა თითოეული გეგმიური შემონიშნებისთვის, რეკომენდაციისა
და კლასის მინიჭების პირობებისთვის.

3.5 თითოეული აღიარებული ორგანიზაცია, როგორც გადამცემი, ასევე მიმღები ვალდებულია სააგენტოს მიაწოდოს
ინფორმაცია კლასის გადაცემის ან კლასის მიღების შესახებ. ასევე, ორგანიზაციის ან გემთმფლობელის
გადანყვეტილებით კლასის შეცვლის შემთხვევაში, თითოეული მხარე ვალდებულია სააგენტოს მიაწოდოს
აღნიშნული ფაქტის შესახებ ინფორმაცია.

4. ვალდებულების დარღვევა:

4.1 საქართველოს საზღვაო კოდექსის და საერთაშორისო რეგულაციებს შესაბამისად, აღიარებული ორგანიზაციები ვალდებულია სრულყოფილად შეასრულოს ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები, წინააღმდეგ შემთხვევაში სააგენტო მიიღებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს, მათ შორის განიხილავს აღიარების შეჩერებას ან გაუქმებას.

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს
დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამდასმულია 
ელექტრონულად

თამარ იოსელიანი

